ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2026 წლის 20 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილების (ვებგვერდი, 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016341) პირველი მუხლით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“ დანართ №1-სა და დანართი №2-ში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული დანართი №1-ის და დანართი №2-ის რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**

დანართი №1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარში)
	საკრებულოს თანამდებობის პირები		
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	6560
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4960
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	4320
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3520
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	3520
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	8	2560

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

№	თანამდებობათა დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) – ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	3520
	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება		
2	საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი)	1	2560
3	საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	1	1760
4	საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში)	1	1760
5	საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1760
	საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილება		
6	აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი)	1	2240
7	საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	9	1600
	საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა		
8	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	
9	მერიისა და საკრებულოს სპეციალისტი კომპიუტერული მომსახურების დარგში	1	

10	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1	
11	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1	
12	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი	1	